

**სპორტის სფეროში დამსახურებულ მოღვაწეთა  
სოციალური დაცვის ღონისძიებები**

**მაღალმთიან დასახლებებში სპორტის სფეროში დასაქმებული  
მწვრთნელებისათვის ფინანსური დახმარებისა და სპორტის  
განვითარების ხელშემწყობი**

**პ რ ო ბ რ ა მ ა**

**საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის  
საქმეთა სამინისტრო**

**თ ბ ი ლ ი ს ი**

**2017 წ.**

## 1. პროგრამის აღწერა და მიზანი

„მაღალმთიან დასახლებებში სპორტის სფეროში დასაქმებული მწვრთნელებისათვის ფინანსური დახმარებისა და სპორტის განვითარების ხელშემწყობი სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის N436 დადგენილების თანახმად, დამტკიცებულ იქნა მაღალმთიან დასახლებებში სპორტის სფეროში დასაქმებული მწვრთნელებისათვის ფინანსური დახმარებისა და სპორტის განვითარების ხელშემწყობი სახელმწიფო პროგრამა, რომლის ფარგლებშიც „მაღალმთიან დასახლებათა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის №671 დადგენილებით დამტკიცებულ „მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში“ შეტანილ მაღალმთიან დასახლებებში სპორტის სფეროში დასაქმებულ მწვრთნელებს ენიშნებათ ყოველთვიური ფინანსური დახმარება 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით. მოცემული პროგრამა ძალაშია 2016 წლის 1 სექტემბრიდან და მის მიზანს წარმოადგენს, „მაღალმთიან დასახლებათა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის №671 დადგენილებით დამტკიცებულ „მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში“ შეტანილ მაღალმთიან დასახლებებში სპორტის სფეროში დასაქმებულ მწვრთნელთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, მათი შემდგომი საქმიანობისათვის დამატებითი სტიმულის მიცემა და მაღალმთიან დასახლებებში სპორტის პოპულარიზაციისა და განვითარების ხელშეწყობა სპორტის სხვადასხვა სახეობაში ჩართულ პირთა და ფიზიკურად აქტიური მოსახლეობის რაოდენობის გაზრდით. დახმარების მიმღებ ბენეფიციარებს წარმოადგენენ პირები, რომლებსაც „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად მოპოვებული აქვთ მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსი, შეტანილნი არიან მაღალმთიან დასახლებებში მუდმივად მცხოვრებ პირთა რეესტრში, მაღალმთიან დასახლებებში ეწევიან სამწვრთნელო საქმიანობას არანაკლებ ბოლო 3 წლის მანძილზე (სპორტის ერთ ან რამდენიმე სახეობაში, არანაკლებ 5 პირისთვის რეგულარული საწვრთნელი პროცესის ორგანიზებით) და ამავე დროს, დასაქმებულნი არიან საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მე-6 მუხლის „ს“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ საბიუჯეტო ორგანიზაციებში. გარდა ამისა, ფინანსური დახმარების ყოველთვიურ ოდენობაზე დამატებით 10 (ათი) ლარი ამ პროგრამის ბენეფიციარებს მიეცემათ შემდეგი მოთხოვნებიდან ერთ-ერთის დაკმაყოფილების შემთხვევაში:

ა) არანაკლებ ბოლო 3 წლის მანძილზე, შესაბამის სპორტის სახეობაში (ნებისმიერ ასაკობრივ ჯგუფში), მის მიერ აღზრდილი არანაკლებ ერთი სპორტსმენი მონაწილეობდა ეროვნულ ჩემპიონატში ან/და არანაკლებ ორმა სპორტსმენმა დაიკავა საპრიზო ადგილი რეგიონულ/ადგილობრივ შეჯიბრებებში;

ბ) ფლობს სამწვრთნელო საქმიანობის კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტს (დიპლომს) ან/და შესაბამისი ეროვნული სპორტული ფედერაციის/საერთაშორისო ფედერაციის მიერ გაცემულ სამწვრთნელო საქმიანობის ლიცენზიას.

ყოველთვიური ფინანსური დახმარების მიღება პირს უწყდება:

ა) გარდაცვალების შემთხვევაში;

ბ) მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის შეჩერების/შეწყვეტის შემთხვევაში;

გ) მაღალმთიან დასახლებებში ამ დადგენილებით გათვალისწინებული სამწვრთნელო საქმიანობის შეწყვეტის ან/და ზემოაღნიშნულ საბიუჯეტო ორგანიზაციაში საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში;

დ) სხვა ობიექტური გარემოებების არსებობისას, პირის მიერ ამ პროგრამის შესაბამისად სამწვრთნელო საქმიანობის განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში (შესაბამისი მუნიციპალიტეტებიდან, ეროვნული სპორტული ფედერაციებიდან და საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა უწყებებიდან მიღებული დოკუმენტაციის/ინფორმაციის საფუძველზე).

პროგრამით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას უზრუნველყოფს საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო შესაბამისი მუნიციპალიტეტებიდან, ეროვნული სპორტული ფედერაციებიდან და საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა უწყებებიდან წარდგენილი დოკუმენტაციის/ინფორმაციის საფუძველზე. ამავე დროს, პროგრამით განსაზღვრული სხვადასხვა გარემოებების დადგენის/გადამოწმების მიზნით, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო უზრუნველყოფს ყოველთვიურად სათანადო დოკუმენტაციის/ინფორმაციის გამოთხოვას შესაბამისი მუნიციპალიტეტებიდან, ეროვნული სპორტული ფედერაციებიდან და საჭიროების შემთხვევაში, სხვა უწყებებიდან. ყოველთვიური ფინანსური დახმარების დანიშნისა და შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსთან არსებული შესაბამისი კომისია.

## **2. პროგრამის შესრულების ვადები**

შესრულების ვადები: დაწყება-01.01.2017, დამთავრება-31.12.2017.

## **3. საერთო ღირებულება**

პროგრამის 2017 წლის მთლიანი ასიგნების თანხა შეადგენს 140 000 ლარს.

## **4. პროგრამის რეალიზაციაზე პასუხისმგებელი სამთავრობო დაწესებულება**

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო.

## **5. მოსალოდნელი შედეგები და შედეგების შესრულების ინდიკატორები**

პროგრამის რეალიზაცია ხელს შეუწყობს, „მაღალმთიან დასახლებათა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის №671 დადგენილებით დამტკიცებულ „მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში“ შეტანილ მაღალმთიან დასახლებებში სპორტის სფეროში დასაქმებულ მწვრთნელთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, მათი შემდგომი საქმიანობისათვის დამატებითი სტიმულის მიცემას და მაღალმთიან დასახლებებში სპორტის პოპულარიზაციასა და განვითარებას.

### **ინდიკატორები:**

ა) პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული ბენეფიციარების რაოდენობა;

ბ) ერთ ბენეფიციარზე გაცემული დახმარების ოდენობა.